სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-110

29.07.2024

ბრძანება

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.

„ უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინიტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის N 01/745 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის 1 და მე-6-ე მუხლის, 25-ე მუხლის 1-2-3 პუნქტების და 26-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, აკადემიური კონკურსის ჩატარებისა და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის (22.06.2018წ ოქმი N3) მე-8-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, აგრეთვე სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2015 წლის 30 ოქტომბერს (ოქმი N5)დამტკიცებული საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-20-ე მუხლის და 21-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის და მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანების N 01-05/220 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

& 1

გამოცხადდეს კონკურსი ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის შემდეგ კათედრაზე:**

1. სპორტული მედიცინისა და კინეზიოლოგიის კათედრაზე საგანში:

- **დოპინგი**- 1 საშტატო ერთეული

მწვრთნელთა ფაკულტეტის შემდეგ კათედრაზე:

2. სპორტის მენეჯმენტის კათედრაზე საგანში:

- **სპორტის სამართალი** - 1 საშტატო ერთეული

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.edu.ge

- **ფინანსური აღრიცხვა, მმართველობითი აღრიცხვა** - 1 საშტატო ერთეული

- სასწავლო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3(სამი) წლის სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება და სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 1 დეკემბრის N 01-137 ბრძანებით დამტკიცებული „ საკონკურსო კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისათვის" შესაბამისად დააგროვებს მინიმუმ 120 ქულას.

3. კონკურსი გამოცხადდეს 2024 წლის 29 ივლისს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 30 აგვისტოდან 2024 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე 10:00 დან 15:00 საათამდე.

4. საბუთების განხილვა მოხდეს 2024 წლის 16 სექტემრიდან 2024 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით.

5. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს 2024 წლის 24 სექტემბერს შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www. Sportuni.edu.ge.

6. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2024 წლის 25 სექტემბერს.

კონკურში მონაწილე კანდიდატებმა უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- CV
- დიპლომის ასლი;
- ცნობა ნასამართლეობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება)"
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, სათანადოდ დამოწმებულ ასლთან ერთად;
- ორი ფოტოსურათი 3X4 ;
- სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი, რომლის წაყვანასაც გეგმავს კონკურსანტი სასწავლო უნივერსიტეტში, როგორც ნაბეჭდი ისე ელექტრონული ვერსია.
- ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებული შრომების ნუსხა;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არანაკლებ 3 წელი);
- საკონკურსო მიმართულების შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (კონკურსანტის გადაწყვეტილებით) , რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას, გამოქვეყნებული ბოლო 5(ხუთი) წლის განმავლობაში საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალში. ბეჭდურ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ჟურნალის პირველი გვერდისა და ტექსტის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას

დაამოწმებს საკონკურსო კომისია ადგილზე, ხოლო ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებულის შემთხვევაში -ონლაინ ვერსია.

- კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება /საჩივარი საკონკურსო კომისიაში. (ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება).
- კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი იხილეთ ვებგვერდზე (www sportuni.edu.ge).

- დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების გაცნობა ყველა სტრუქტურული ერთეულებისათვის და შესაბამისი ფაკულტეტისთვის.
- ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
- ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64.

რექტორი,
პროფესორი

ტრისტან გულბიანი